MES 7 22 0000512550

19/05/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 03.05.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:25 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;

4. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
5. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **თამარ ზარანდია** - სსიპ -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
7. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
9. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
10. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
11. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
13. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**ნინო შიოშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	**ნინო სარჯველაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**ქრისტინე აბულაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	**ანი ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ნატალია თვალჭრელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო შოშიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	გიორგი ჯაფოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კერძო (ბიზნეს) სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კერძო (ბიზნეს) სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0162, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი #67
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯის“ მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მიმდინარე წლის 11 და 14 თებერვალს. COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, შეფასება უმეტესწილად განხორციელდა დისტანციურად, ZOOM პლატფორმის მეშვეობით (14 თებერვალი 2022). შეხვედრები შედგა სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, რომლებიც აგრეთვე ჩართულნი არიან პროგრამაში შემავალი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში. შეხვედრა, ასევე, გაიმართა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან. მიმდინარე წლის 11 თებერვალს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს შპს მართვის და კომუნიკაციის საერთაშრისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ მატერიალურ-ტექნიური ბაზა, კერძოდ სასწავლო უნივერსიტეტის შენობა - აუდიტორიები, რექტორატისა და ადმინისტრაციის ოფისები, შეხვედრების სივრცე, მულტიმედიის ცენტრი, რომელშიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული ნაწილის განხორციელება და ბიბლიოთეკა.
ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აგრეთვე, მიმოიხილეს უსდ-ს სხვა სასწავლო რესურსები და შესაძლებლობები, გაეცნენ ბიბლიოთეკის საძიებო სისტემას და სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებულ ლიტერატურას: წიგნებს, ელექტრონულად დაცულ სახელმძღვანელოებსა და რიდერებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია: თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამა და თანდართული დოკუმენტაცია. აგრეთვე, ვიზიტის განმავლობაში ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებები, ინფორმაცია და დოკუმენტაცია. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა მოკლედ შეაჯამა დოკუმენტების შესწავლის და ვიზიტის დროს შემდგარი ინტერვიუებისას მიღებულ იქნა ინფორმაცია, რის შემდეგ ჯგუფის თავმჯდომარემ სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მოკლედ გააცნო ჯგუფის ძირითადი მიგნებები. ვიზიტი წარიმართა მშვიდ, პროფესიულ და საქმიან გარემოში. უზრუნველყოფილი იყო ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.
შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის "მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

2022 წლის 22 მარტს ექსპერტთა ჯგუფმა წარადგინა დასკვნის პროექტი, რომლის საფუძველზეც შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტმა „ალტერბრიჯი“ გამოაგზავნა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც მოცემულია ინსტიტუციის მოსაზრებები, როგორც ზოგადად აკრედიტაციის პროცესის შესახებ, ისე ქვემოთჩამოთვლილ რეკომენდაციებსა და რჩევებზე.
დოკუმენტის მიღების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ იმსჯელა და გადახედა დასკვნაში გაწერილ რეკომენდაციებს და რჩევებს; შედეგად კი ჩათვალა, რომ ისინი ცალსახად გააუმჯობესებს პროგრამის განვითარების შესაძლებლობებს.

დაწესებულებისათვის მიწოდებულ დასკვნის პროექტში ზოგად ინფორმაციასთან ერთად, ექსპერტთა ჯგუფმა გააჟღერა პროგრამის წინარე ისტორია მომიჯნავე პროგრამის აკრედიტაციის პროცესის შესახებ 2020 წელს. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნდა და ახლაც მიაჩნია, რომ ეს ინფორმაცია საინტერესო იქნებოდა ახალადშექმნილი ინსტიტუციის განვითარების ილუსტრაციისათვის. თუმცა, ვინაიდან ამ ფაქტს აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა დაწესებულების მხრიდან, დაძაბულობისა და აკადემიური სივრცისთვის უხერხული მსჯელობის თავიდან ასაცილებლად, ექსპერტთა ჯგუფმა ეს ჩანაწერი საბოლოო დასკვნიდან ამოიღო.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილ მოსაზრებებსა და განმარტერებს ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციებისა და რჩევების შესახებ. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ინსტიტუციას ნამდვილად ჰყავს საკმარისად კვალიფიციური პერსონალი იმისათვის, რომ არამარტო შექმნას ხარისხიანი სასწავლო პროგრამა, არამედ წარმოდგენილ პროგრამაში არსებული ხარვეზები უმოკლეს ვადაში მარტივად მოაგვაროს, თუმცა ამისათვის აუცილებლად უნდა გამოიკვეთოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მზაობა რეკომენდაციების გასაზიარებლად, რაც არგუმენტირებულ პოზიციაში ნაკლებად ვლინდებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს საგანმანათლებლო სივრცისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებთან;
2. რეკომენდებულია, დამსაქმებლები უფრო მეტად იყვნენ ჩართულები პროგრამის მიზნების შემუშავებაში;
3. პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის, რეკომენდებულია ორგანიზაციები შეირჩეს მიზნობრივად;
4. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს სფეროს სპეციფიკასთან და მკაფიოდ გაიმიჯნოს საზოგადოებასთან ურთიერთობის და სხვა მომიჯნავე სფეროებისთვის სპეციფიკური მახასიათებლებისგან; განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია, სწავლის შედეგები დაიხვეწოს და გაღრმავდეს ცოდნისა და გაცნობიერების ნაწილში;

5. რეკომენდებულია, სწავლის შედეგები უკეთ მოერგოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს;
6. რეკომენდებულია ან შეიცვალოს მიღების წინაპირობება და დარჩეს მხოლოდ ინგლისური ენის (და არა ზოგადად უცხო ენის) გამოცდა, ან შეიცვალოს უცხო ენის სწავლებისადმი მიდგომა, ან დაკორექტირდეს სწავლის შედეგი;
7. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა დოკუმენტებში მოცემული კრედიტების გადანაწილება მოვიდეს ერთმანეთთან თანხვედრაში;
8. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსები უკეთ მოერგოს მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკას;
9. სტუდენტებისთვის მეტი აკადემიური თავისუფლების უზრუნველსაყოფად, რეკომენდირებულია შეიცვალოს საბაკალავრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის წესი;
10. რეკომენდებულია შეიქნას ამ პროგრამისათვის საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, რომელიც განსაზღვრავს სწავლის შედეგებს, შეფასების კრიტერიუმებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რაც არ განისაზღვრება საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციით;
11. რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსები თავისუფალ კომპონენტში, რათა უზრუნველყოფილი იყოს არჩევითობა და არჩევითი კურსების შეთავაზება მოხდეს უფრო მოქნილი ფორმატით;
12. რეკომენდებულია კურსის შედეგების მიხედვით დაკორექტირდეს სასწავლო კურსები: "ტელეჟურნალისტიკა" და "რადიოჟურნალისტიკა". ასევე სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობა;
13. რეკომენდებულია პროგრამაში მეტი აქცენტით იყოს წარმოდგენილი და შესაბამისად სწავლის შედეგებში ასახული პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის კომპეტენცია;
14. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების: "მასკომუნიკაციის თეორიები" და "კინოდოკუმენტალისტიკა" შეფასების კომპონენტები;
15. რეკომენდებულია დაკორექტირდეს საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის წესი ისე, რომ სრულფასოვნად აისახოს როგორც კვლევითი, ისე პრაქტიკული ხასიათის პროექტის მომზადება და დაცვა;
16. რეკომენდებულია, მედია ცენტრი მოეწყოს სხვა, უფრო დიდ სივრცეში და აღიჭურვოს იმგვარად, რომ სტუდენტებმა რეალურად შეძლონ იმ პროფესიული- პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, რაც აუცილებლად დასჭირდებათ მედიაში დასაქმებისთვის;
17. რეკომენდებულია სათანადოდ აღიჭურვოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
18. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რეკომედებულია ბიუჯეტი გაიწეროს რეალური შემოსავლების გათვალისწინებით;
19. რეკომენდებულია, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის პროცესში ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად ჩართული იყოს უშუალოდ პროგრამის განმახორციელებელი და დაინტერესებული პირები (ვინც მომავალში უშუალოდ იქნება პროგრამის განხორციელების პროცესებში ჩართული), რომელთა ანალიზს დაეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის როგორც ანგარიშის დესკრიფციული ნარატივი და მისი არგუმენტაციული ნაწილი, ისე ძლიერი, გასაუმჯობესებელი მხარეები და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული აქტივობები;
20. რეკომენდებულია, წარდგენილ იქნას ინსტიტუციაში მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამების სრული პაკეტის გარე ექსპერტირების, ინტერნაციონალიზაციისა და სრულყოფის მიზნით ქვეყნის ფარგლებში მსგავსი გამოცდილების მქონე აკადემიურ სივრცეში, ან უცხოეთში, საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად;

21. რეკომენდებულია უსდ-ს შემუშავებული ჰქონდეს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია, პროცედურები და გაწერილი პროცესები, რათა მიზანმიმართულად განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესება და ჩამოყალიბდეს განვითარების ახალი პროცესები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში გაწერილ რეკომენდაციებზე, კერძოდ ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სააკრედიტაციო პაკეტში იყო დეტალურად გაწერილი პროგრამული ბიუჯეტი, სადაც სრულად არის წარმოდგენილი პროგრამის მდგრადობის მიღწევის რესურსები. ასევე, ფინანსურ მენეჯერთან ინტერვიურებისას აღნიშნული იყო, რომ საწყის ეტაპზე დაწესებულება არ აკეთებს გათვლას სუდენტების მხრიდან შემოსულ თანხებზე, ვინაიდან პროგრამის მდგრადობის მიღწევის მიზნით განსაზღვრული აქვს დამატებითი შემოსავლები, კერძოდ, დამფუძნებლების შენატანები და დამტკიცებული საკრედიტო ხაზი 3 000 000 დოლარის ოდენობით, რომელიც მოხმარებულ იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას.

რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის საკითხებს, ამ მიმართულებით დასტურდება მოქმედ პროგრამათა სტუდენტების მონაწილეობა 4 სხვადასხვა პროექტში, მათ შორის, პროაქტივ ჯგუფსა და ქართულ-ესპანურ ცენტრ „იბერიასთან“ თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტები რუმინეთში, ესპანეთში. ასევე, ინტერნაციონალიზაციის კუთხით რამდენიმე ინსტიტუციასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება, მათ შორის, ბარსელონაში EU Business School-ის წარმომადგენლებთან. ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკება ამერიკის Illinois State University (USA) და ჩეხეთის Charles University-ებთან. დაწესებულების წარმომადგენელი, საქართველოს მედიაგანათლების პროგრამით ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა დეპოლის, ლოიოლას, კოლუმბიის, ილინოისის უნივერსიტეტებში. პროექტის ფარგლებში, დეკემბერში ამერიკელი პროფესორები საქართველოში იმყოფებოდნენ. აღნიშნული შეხვედრების დროს ,,ალტერბრიჯის'' მასკომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელებს საშუალება მიეცათ ინდივიდუალური კონსულტაციის ფარგლებში შეხვედროდნენ ილინოისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასკომუნიკაციის სკოლის პროფესორს, სტუდენტური ტელევიზიის 10 news ხელმძღვანელს, ლაურა ტრენდალ პოლუსს, რომელიც დეტალურად გაეცნო პროგრამას, მოიწონა და აკრედიტაციის გავლის შემდეგ ,,ალტერბრიჯთან'' თანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილა. გარდა ამისა, მასკომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელის პირადი კონტაქტების საშუალებით მოლაპარაკება დაწყებულია ჩარლზის უნივერსიტეტთან. აღნიშნული უნივერსიტეტი ახორციელებს საბაკალავრო პროგრამებს კომუნიკაციის მიმართულებით. ჩარლზის უნივერსიტეტის მხრიდან გამოითქვა თანამშრომლობის მზაობა. თანამშრომლობას ოფიციალური მხარე აკრედიტაციის გავლის შემდეგ მიეცემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, ისაუბრა ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით, კერძოდ მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიოთეკა გაციფრულებულია და სტუდენტებს აქვთ წვდომა მათთვის საჭირო ლიტერატურაზე, რომელიც მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსების ძირითადი ლიტერატურის ნაწილში. დასტური, ფაქტობრივი გარემოებაა. აღნიშნული პროცესი მუდმივად განვითარებადია, განსაკუთრებით მოცემულ სფეროში, ვინაიდან მუდმივად ხდება ლიტერატურის განახლება.

რაც შეეხება კრედიტების გადანაწილების საკითხს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადაგზავნილი მასალების ერთ-ერთ დოკუმენტში გაპარული იყო ტექნიკური შეცდომა - კერძოდ, კრედიტების გადანაწილების ჯამური მაჩვენებლის: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (156 10 ECTS), ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (22ECTS), თავისუფალი

კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (42 ECTS), თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსსები (20 ECTS). ნაცვლად ამისა, დოკუმენტში ჩარჩენილი იყო სამუშაო/დრაფტ მონაცემები. ეს ტექნიკური ხარვეზი დაწესებულების მიერ აღმოჩენილი და გამოსწორებული იყო ექსპერტების ვიზიტამდე და ინსტიტუცია მზად იყო მოთხოვნის შემთხვევაში გაეკეთებინა განმარტება და მიეწოდებინა შესაბამისი დოკუმენტი, თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ ეს საკითხი არ დასმულა, რის გამოც არ მოხდა დაწესებულების პოზიციის დაფიქსირება. ამასთან, მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის სასწავლო გეგმაში თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები წარმოდგენილია 20E CTS კრედიტის ოდენობით. თავისუფალი კრედიტების ათვისება სტუდენტს შეეძლება როგორც არჩევით სასწავლო კურსებში წარმოდგენილი 2 საგნიდან, ასევე, უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო პროგრამების კურსებით, არსებული წინაპირობების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში სრულად არის დაცული არჩევითობის პრინციპი და საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს სტუდენტს, რათა აითვისოს აღნიშნული 20 კრედიტი. იმის გათვალისწინებით, რომ ასარჩევი კურსები დეტალურადაა გაწერილი უნივერსიტეტში არსებულ საბაკალავრო პროგრამებში, მასკომუნიკაციის პროგრამაში მათი ჩამოთვლა დაწესებულებას მიზანშეწონილად არ მიაჩნია. აღნიშნული კურსების, მათი წინაპირობების, კრედიტებისა და სემესტრების შესახებ სტუდენტები ინფორმაციას მიიღებენ ფაკულტეტის დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელებისგან.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სივრცისა და დამსაქმებლის მოთხოვნებთან. სასწავლო უნივერსიტეტის მისიაზე დაყრდნობით, ისინი წარმოადგენენ ხიდს დასაქმებასა და განათლებას შორის. შესაბამისად, ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი სწორედ დამსაქმებლებთან აქტიურ თანამშრომლობას და მათთან ერთობლივად სხვადასხვა პროექტის ინიცირება-რეალიზებას ითვალისწინებს. სწავლის შედეგები განისაზღვრა კომპლექსურად: შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. სწავლის შედეგები გაზომვადი და მიღწევადია, შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს და მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს. შედეგების შეფასებისთვის დამუშავდა სწავლის შედეგების შეფასების რუკაც, სადაც გაიწერა სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები (პირდაპირი და არაპირდაპირი) და მიენიჭა პირობითი სამიზნე ნიშულები. პროგრამა სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას სასწავლო კურსებში მათი ინტეგრირების მეშვეობით. კურსდამთავრებული პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით შრომის ბაზრის მოთხოვნებს სრულად დააკამყოფილებს. რაც შეეხება რეკომენდაციის მეორე ნაწილს, პროგრამის პირველი ორი შედეგი ზუსტად ცოდნასა და გაცნობიერებაზეა ორიენტირებული. სასწავლო კურსებში, განსაკუთრებით კი თეორიაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები კონკრეტულად გვიჩვენებს ამ შედეგების მიღწევადობას. სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდა დამსაქმებელთა ჯგუფის, და ასევე, პარტნიორი საგანმანათლებლო ორგანიზაციის მიერ. შეხვედრების დროს დაწესებულების წარმომადგენლები განიხილავდნენ სწავლის შედეგებს, ლოგიკურ ბმებს, როგორ ესადაგება თითეული სასწავლო კურსის შედეგები მთლიანად პროგრამის შედეგებს.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ მასკომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება სფეროს სპეციფიკას და მკაფიო ზღვარია მომიჯნავე სფეროების სპეფიციკურ მახასიათებლებთან, თუმცა მასკომუნიკაცია თავის თავში აერთიანებს სხვადასხვა მიმართულებებს. ამის შესახებ ახსნა თვალსაჩინოდ არის მოცემული გარე ექსპერტის დასკვნაში. პროგრამის ის ნაწილი, რომელიც დასაქმების სფეროს აღწერს, ვრცელია. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სათაური: „მასობრივი კომუნიკაცია" კურსდამთავრებულთა მოქმედების არეალს, ასევე, ფართო კუთხით განსაზღვრავს. ამ

მოცემულობით ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის 15 კომპეტენცია ასახულია იმ სასწავლო კურსებში, სადაც მკვეთრად გამოხატულია პრაქტიკული კომპმონენტები და განმტკიცებაზე გადის.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე სასწავლო უნივერსიტეტში არსებული მედიაცენტრი სრული დატვირთვით მუშაობს და ყველა ის მედიაპროდუქტი, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებას, ამ სტუდიაში მუშავდება. ამ პროცესში ჩართულნი არიან სტუდენტებიც. ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ფოტო-ვიდეო აპარატურით, დრონით, სტუდიური განათებებით. კომპიუტერებში ჩატვირთულია სხვადასხვა სამუშაო პროგრამებიც. INDESIGN-ბეჭდური მედიის სასწავლო კურსისთვის, PHOTOSHOP-ფოტოჟურნალისტიკის სასწავლო კურსისთვის, PREMIER-ტელე-ჟურნალისტიკისთვის, AUDITION რადიო-ჟურნალისტიკისთვის. ადგილზე ვიზიტისას კომისიის წევრებს შესთავაზეს ამ პროგრამების ჩვენება, თუმცა მათი მხრიდან არ გამოიხატა გადამოწმების სურვილი.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებასა და მის შემდგომ განვითარებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ მიზნობრივად შერჩეული პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები (გასულ წელს პარტნიორთა ჯამურმა რაოდენობამ 160-ს მიაღწია). პროგრამაში შემავალი ერთ-ერთი სასწავლო კურსი „copywriting“ ბაზარზე საკმაოდ მოთხოვნადია და სტუდენტებს სწავლის პერიოდშივე შეუძლიათ თვითდასაქმება. ასევე აღსანიშნავია, რომ ციფრული მედიაწიგნიერების ცნობიერების ამაღლებაზე გამოცხადებულ საგრანტო პროექტში ერთ-ერთ პარტნიორ ორგანიზაციასთან, საჯარო სერვის ბიუროსთან ერთობლივად პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური /ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა.
რაც შეეხება კომპეტენციებს, სწავლის შედეგები განისაზღვრა სასწავლო კურსების მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე. ამ მოცემულობით, ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის 15 კომპეტენცია ასახულია იმ სასწავლო კურსებში, სადაც მკვეთრად გამოხატულია პრაქტიკული კომპმონენტები და განმტკიცებაზე გადის. დაწესებულებისთვის გაუგებარია, თუ როგორ წარმოუდგენია კომისიას მაგ. ,,,მეტყველების'' სასწავლო კურსში ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ასახვა/შემოწმება/გაზომვა. თუმცა თუ ეს მოთხოვნა კომისიას მაინც აქვს საგანთან დაკავშირებით, გაუგებარია რატომ არ მოხდა ამის დაზუსტება ლექტორთან ინტერვიუირების დროს. ასევე, დასკვნაში აღნიშნულია, რომ კონკრეტულად ,,მეტყველების“ საგანი ორიენტირებულია სტილისტიკასა და მართლწერის საკითხებზე, მაშინ როდესაც მეთოთხმეტე თემა ეთმობა მეტყველებას და მხოლოდ ერთ თემაშია ნახსენები სტილისტიკა. ასეთივე არამართებული შენიშნვნაა ,,ახალი ამბების ჟურნალისტიკასთან“ დაკავშირებითაც, რომ თითქოს საგანი თეორიულია, არადა, სასწავლო კურსი მიზნებით, შედეგებით, სტრუქტურით, შუალედური და დასკვნითი გამოცდით სრულიად პრაქტიკულია. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშული კომპეტენცია არის ყველა იმ სასწავლო კურსში, სადაც პრაქტიკული კომპონენტი არის საკმაოდ აქტიურად ინტეგრირებული და მისი გაზომვა მკაფიოდ არის შესაძლებელი.
მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კლასიფიკატორის მიხედვით, 0321 - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა - შეისწავლის ჟურნალისტიკის/რეპორტიორობის თეორიასა და პრაქტიკას, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ნაწილს. ჟურნალისტიკასა და რეპორტიორობას საქმე აქვს ტექსტის ფორმულირებასთან და ინფორმაციის ამბის შინაარსთან. ის მოიცავს ახალი ამბების გაშუქებას, საზოგადოებისთვის საინტერესო წერილობითი სახასიათო ისტორიებისა და კომენტარების მომზადებას და ა.შ. მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე გამსვლელი სასწავლო კურსები მოიცავს 124 კრედიტს, დაახლოებით მოიცავს 23 სასწავლო კურსს, რომლებიც შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

რაც შეეხება არჩევითობას, მასკომუნიკაციის პროგრამის სასწავლო გეგმაში თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები წარმოდგენილია 20 ECTS კრედიტის ოდენობით. თავისუფალი კრედიტების ათვისება სტუდენტს შეეძლება როგორც არჩევით სასწავლო კურსებში წარმოდგენილი 2 საგნიდან, ასევე, უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო პროგრამების კურსებით. არსებული წინაპირობების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში, სრულად არის დაცული არჩევითობის პრინციპი და საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს სტუდენტს, რათა აითვისოს აღნიშნული 20 კრედიტი. იმის გათვალისწინებით, რომ ასარჩევი კურსები დეტალურადაა გაწერილი უნივერსიტეტში არსებულ საბაკალავრო პროგრამებში. აღნიშნული კურსების, მათი წინაპირობების, კრედიტებისა და სემესტრების შესახებ სტუდენტები ინფორმაციას მიიღებენ ფაკულტეტის დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელებისგან.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა, ასევე, მე-14 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, მისი თქმით, უნივერსიტეტის მიდგომა და პროგრამის გამორჩეულობის ერთ-ერთი მხარე სწორედ, ლექტორების აკადემიური თავისუფლებაა სასწავლო კურსის შედგენისას, სწავლების მეთოდებისა და შეფასების კომპონენტების ნაწილშიც. ყველა სილაბუსი გადამოწმდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და გარე ექსპერტის მიერ. შეფასების კომპონენტები და ქულების გადანაწილება სავსებით შეესაბამება სასწავლო კურსის მიზნებს.
რაც შეეხება მე-19 რეკომენდაციას, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ნაწილში ინტერვიუირებისას დეტალურად იქნა აღწერილი თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესი, რომელშიც ჩართული იყო სამუშაო ჯგუფი სრული შემადგენლობით და ყველა დაინტერესებული პირი. ინსტიტუციის წარმომადგენლის თქმით, ალტერბრიჯის ქოლგის ქვეშ ფუნქციონირებს ორი ტრენინგ ცენტრი ,,ალტერბრიჯის ტრენინგ ცენტრი“ და ,,ინოვაციური განათლების ცენტრი“. სწორედ ამ უკანასკნელი ტრენინგ ცენტრის ფორმატში რეგულარულად ტარდებოდა შეხვედრები და ყველა დეტალური კომპონენტი იხილებოდა როგორც აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, ასევე დამსაქმებლებთან და ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან, რაც დეტალურად აღიწერა ინტერვიუირების პროცესში და დაოქმებულია უნივერსიტეტში მოქმედი წესით (დასტური ზუმის ვიდეო ოქმები ჩაიწერა დამსწრეთა თანხმობით).

მნიშნელოვანია ასევე დასკვნაში არსებული მე-6 რეკომენდაცია, კერძოდ ჩარიცხვისთანავე, ენობრივი დონის განმსაზღვრელი ტესტი უტარდება ყველა სტუდენტს, უდგინდება ინგლისური ენის ცოდნის დონე, რომელიც სავალდებულოა. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი B2 დონეზე ფლობს ინგლისურ ენას, მხოლოდ ამ შემთხვევაში სთავაზობს დაწესებულება სტუდენტს მეორე უცხოური ენის გავლას. ამასთან საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენა ისწავლება დადგენილი სტანდარტების მიხედვით 5 სემესტრი (კვირაში 6 საათი), მათ შორის დარგობრივი ინგლისური. შესაბამისად, დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტთა ჩანაწერს, ვინაიდან პროგრამაზე სწავლების დროს სავალდებულო დარგობრივი ინგლისურის შესასწავლად მხოლოდ ერთი სემესტრია გათვალისწინებული, მიზანშეწონილია მისაღებ პროცედურებშივე გაიწეროს ინგლისური ენის ცოდნის შემოწმების მექანიზმი ერთიანი ეროვნული გამოცდის მეშვეობით, რათა მიღწეულ იქნას ზემოთხსნებული სწავლის შედეგი.
რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, დაწესებულებაში არსებობს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, რომელიც დამტკიცებულია დადგენილი წესით, გამოთხოვისთანავე მიწოდებულ იქნებოდა ექსპერტთა ჯგუფისათვის, თუმცა ეს არ მოხდა. ასევე, საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის მოქმედი და გამოთხოვილი ვერსია გადაგზავნილ იქნა ცენტრის წარმომადგენელთან ვიზიტის პროცესშივე. ამასთან საბაკალავრო ნაშრომი, თავისთავად მოიაზრებს სასწავლო და არა კვლევით კომპონენტს. (2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანება მუხლი 1.1 ე) პუნქტი) კვლევითი ხასიათის პროექტის მომზადება საბაკალავრო დონეზე უფრო მიმოხილვითი ხასიათისაა, რაც გაწერილია მარეგულირებელ დოკუმენტში.

მე-20 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჩაუტარდა გარე ექპერტიზა ქართველი დარგის ექსპერტის მიერ. მოქმედი კანონმდელობა არ ავალდებულებს ინსტიტუციას, რომ საგანმანათლებლო პროგრამის გარე ექსპერტიზა ჩაატაროს უცხოელმა დარგის ექსპერტმა. თუმცა დაწესებულება ამ მიმართულებით მუშაობს.
რაც შეეხება 21-ე რეკომენდაციას, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი: ხარისხის შეფასების მექანიზმები, რომელსაც დანართად ახლავს სქემა და კითხვარები სამიზნე ჯგუფებისთვის პერიოდულობის მითითებით. შესაბამისად, შეფასების პროცესის მონაწილე არის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით დაინტერესებული ყველა პირი. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამა არ არის ჯერ ამოქმედებული და, რასაკვირველია, ამოქმედების პროცესისთანავე მოხდება დადგენილი წესისამებრ მონიტორინგი დადგენილი ნორმების მიხედვით.

დაწესებულების წარმომადგენელმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ახალ საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ქართული და უცხოური შრომის ბაზრის მოთხოვნები და დასაქმების პერსპექტივები. აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია სფეროს ყველა ძირითადი მიმართულება და გათვალისწინებულია ყველა პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც კურსდამთავრებულს კონკურენტუნარიანს გახდის საერთაშორისო მასშტაბით. პროგრამის ფარგლებში დიდი ყურადღება დაეთმო იმ უნარების განვითარებას, რაც კურსდამთავრებულებს დაეხმარებათ მოაგვარონ/ოპტიმალურად გადაწყვიტონ სფეროში არსებული პრობლემური საკითხები და შემოგვთავაზონ მაღალი ხარისხის საინფორმაციო მომსახურება. ,,ალტერბრიჯის'' მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად კურსდამთავრებული სრულად დააკმაყოფილებს დარგისთვის გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მას ექნება თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება დარგის მიმართულებით, ასევე, პიროვნული და პროფესიული თვითრეალიზებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს ადვილად დასაქმდეს ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ რამდენიმე სასწავლო კურსში ძირითადად მითითებულია რიდერი, და დააზუსტა, თუ როგორი სახის რიდერები მოცემულია სილაბუსებში. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ზოგ სასწავლო კურსს არ აქვს წინაპირობა. შესაბამისად, დაინტერესდა, ხომ არ გაჭირდება წინაპირობების გარეშე მათი დაძლევა.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა, თუ რომელი საერთაშორისო უნივერსიტეტის გამოცდილება იქნა გაზიარებული პროგრამის შემუშავებისას. ამასთან, დასაქმებული პერსონალის დიდი ნაწილი ფლობს მხოლოდ მაგისტრის ხარისხს. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ. გარდა ამისა, მან ექსპერტებთან დააზუსტა, თუ რითი იყო განპირობებული რეკომენდაცია მიღების წინაპირობებისა და საბაკალავრო ნაშრომის დამტკიცების წესის შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ მემორანდუმში არ არის მითითებული რაოდენობები, გარდა ამისა, დააზუსტა, თუ რა მინიმალურ მოთხოვნებს ადგენს უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალის მიღებისას. ასევე, როგორც ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ, დამსაქმებელთა მოთხოვნები არ შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ვინაიდან დამსაქმებლები ითხოვენ საზოგადოებასთან ურთიერთობის კვალიფიკაციის მქონე პირს და არა მასკომუნიკაციების სპეციალისტს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ძირითადად რიდერები პროგრამაში წარმოდგენილია ელექტრონული სახით, რომელიც უმეტეს შემთხვევებში შედგება ლექტორის მიერ მომზადებული ,,ჰენდაუთებისგან". მხოლოდ რამოდენიმე რიდერში არის მოცემული სტატიები. სასწავლო კურსების უმეტესობაში არ არის დაზუსტებული, თუ რა სავალდებულო თუ დამატებითი ლიტერატურა აქვს კონკრეტულად ლექციიდან ლექციამდე წასაკითხი სტუდენტს. სასურველია, რომ ეს საკითხი ყველა სილაბუსში ზედმიწევნით გაიწეროს. მაგალითისთვის ლექტორს სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული აქვს „რიდერი", შემდეგ, ლექციების ნაწილში, ასევე, უთითებს მხოლოდ „რიდერს" და არა კონკრეტულ გვერდებსა თუ თავებს ამ რიდერებიდან.

ამასთან, სასწავლო კურსების უმეტესობაში, იქ სადაც სტუდენტი წარადგენს პრაქტიკულ ნაშრომს, სწავლის შედეგებში არ არის ასახული პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის კომპეტენცია. პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტები პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ივითარებენ სხვადასხვა დარგში - ბეჭდურ, სამაუწყებლო, ონლაინ მედიაში. პრაქტიკული, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება კონკრეტული კურსების ფარგლებში ხდება და ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს მოცემულ სემესტრამდე გავლილი თეორიული კურსებისა. სასურველია, რომ სასწავლო კურსები, რომელთა შედეგებშიც მოიაზრება სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება, შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტებში უმეტესწილად აქცენტი კეთდებოდეს პრაქტიკული დავალებებისა და პროექტების შესრულებაზე.
რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული, მიღწევადია და ასახავს თუ რა კომპეტენციის მქონე პროფესიონალის მომზადებას ემსახურება საბაკალავრო პროგრამა, თუმცა, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში არ არის განმარტებული, თუ როგორ ახდენს სასწავლო უნივერსიტეტი ახალი პროგრამის პოზიციონირებას სხვა უმაღლესი სასწავლებლების მასობრივი კომუნიკაციის განვითარებაზე გათვლილი საგანმანათლებლო პროგრამების ფონზე, რომლებითაც საკმაოდ განებივრებულია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა ზოგადი ხასიათისაა და არ ახდენს მასობრივი კომუნიკაციის სფეროს სპეციფიკური საჭიროებების შესწავლას. წარმოდგენილი „შრომისა და განათლების ბაზრის კვლევაც" განმარტავს, რომ დამსაქმებლები კადრების შერჩევისას ძირითად პრობლემად აპლიკანტებში სათანადო ცოდნის არარსებობას ასახელებენ. ამასთანავე, კვლევის ნაწილი, რომელიც ეხება ალტერბრიჯის პროგრამის შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ვერ განმარტავს, კონკრეტულად თუ რა სიახლეს შეიტანს შემოთავაზებული პროგრამა საგანმანათლებლო სივრცეში და რითი განსხვავდება იგი სხვა მსგავსი პროგრამებისაგან. შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი არ გვთავაზობს ანალიზს ამ პროგრამების ნაკლოვანებების ან/და ძლიერი მხარეების შესახებ და რით განსხვავდება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ახალი პროგრამა უკვე არსებული პროგრამების ფონზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტის დროს, დამსაქმებლებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ ისინი, თუ არ ჩავთვლით ბაზრის კვლევისთვის ჩატარებულ გამოკითხვებს, ნაკლებად იყვნენ ჩართულები პროგრამის შემუშავებაში. შეხვედრის დროს გაირკვა, რომ დამსაქმებლების მოლოდინი უფრო საზოგადოებასთან ურთიერთობის მაღალკვალიფიციურ კადრებს უკავშირდება, ვიდრე მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტს.

რაც შეეხება მიღების წინაპირობებს, კურსების შინაარსიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობების არსებობა არ არის სავალდებულო. რაც შეეხება მემორანდუმებს, მხოლოდ

ნაწილში არის მოცემული რაოდენობები და არა ყველაში, თუმცა მემორანდუმების მიხედვითაც, დამსაქმებელი ითხოვს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტს და შეიძლება პროგრამის კვალიფიკაციას აღნიშნულთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონდეს.
რაც შეეხება მიღების წინაპირობებს, აღსანიშნავია, რომ აბიტურიენტს ეძლევა არჩევანი, რომელ უცხო ენას ჩააბარებს ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს, რაც წინააღმდეგობაში მოდის ერთ-ერთ სწავლის შედეგთან, რომლის თანახმადაც კურსდამთავრებული „მსჯელობს არგუმენტირებულად, უკუკავშირზე დაყრდნობით აანალიზებს ინფორმაციას და წარადგენს ზეპირი/წერილობითი ფორმით ქართულ/ინგლისურ ენაზე“. ვინაიდან ინგლისური ენის თავისუფლად ფლობა პროგრამის სწავლის შედეგებშია ასახული და ვინაიდან პროგრამაზე სწავლების დროს სავალდებულო დარგობრივი ინგლისურის შესასწავლად მხოლოდ ერთი სემესტრია გათვალისწინებული, მიზანშეწონილია მისაღებ პროცედურებშივე გაიწეროს ინგლისური ენის ცოდნის შემოწმების მექანიზმი ერთიანი ეროვნული გამოცდის მეშვეობით, რათა მიღწეულ იქნას ზემოთხსნებული სწავლის შედეგი.
მნიშვნელოვანია, ასევე, საბაკალავრო ნაშრომის საკითხი, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამა, ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის (10 კრედიტი) შესრულებას. პროგრამას თან ახლავს „საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია“, რომელიც განსაზღვრავს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის სფეციფიკას, როგორიცაა ხელმძღვანელის შერჩევა, ხელმძღვანელის მოვალეობები, საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა და აკადემიურ სტილი, საბაკალავრო ნაშრომის წარდგენა, დაცვის პროცედურები, დაცვის კომისიის დაკომპლექტება და ა.შ. სტუდენტებისათვის აკადემიური თავისუფლების უკეთ უზრუნველსაყოფად, შესაცვლელია საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის წესი. მიზანშეწონილია, სასწავლო უნივერსიტეტმა გამოაქვეყნოს არა ძირითადი სათაურებისა და პოტენციური ხელმძღვანელების სია, არამედ აკადემიური პერსონალის კვლევის პრიორიტეტები და ძირითადი მიმართულებები, რათა სტუდენტმა უკეთ შეძლოს არჩევანის გაკეთება. ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამას თან არ ახლავს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეიქმნა წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა კრიტერიუმებით ფასდება ნაშრომი, რა სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს და ა.შ. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით მოითხოვა ეს დოკუმენტი, თუმცა უსდ-მ მომიჯნავე პროგრამის საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი მიაწოდა ექსპერტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სივრცისა და დამსაქმებლის მოთხოვნებთან. კლასიფიკატორში ვიწრო სფეროს მიმართულებით არის ორი მოცემულობა, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია. მასობრივი კომუნიკაცია თავისი დეფინიციით ნიშნავს ინფორმაციის წარმოებასა და მიწოდებას მასებისთვის მასკომუნიკაციის საშუალებებით. მოცემული პროგრამა დაკომპლექტებულია იმგვარად, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს ინფორმაციის წარმოება და მიწოდება მასებისთვის, მასკომუნიკაციის საშუალებების გავლით. შესაბამისად, სრულიად არ არის გასაკვირი, რომ დამსაქმებელმა შეიძლება აქცენტი გააკეთოს მასკომუნიკაციაში შემავალ სფეროებზე. აქვე აღსანიშნავია, რომ ყველა პროდუქტი, რომელსაც ქმნის უნივერსიტეტი, იქმნება დაწესებულების მედია ცენტრში. ამასთან დაწესებულებას თავად აქვს მედია ცენტრის გაფართოების მზაობა არა იმ მიზეზით, რომ აღნიშნული ვერ ემსახურება სტუდენტებს, არამედ იმიტომ, რომ დაწესებულება თავად ზრდის პროდუქტს. უნივერსიტეტს დაწყებული აქვს მოლაპარაკებები რადიომაუწყებლობასთან, შესაბამისად, ამ კუთხით სურს რომ დახვეწოს თავისი მუშაობა.

რიდერებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული მიმართულებით ქართული ლიტერატურა საკმაოდ მცირეა, შესაბამისად გაჩნდა ლექტორების მიმართ მოთხოვნა რომ შექმნილიყო თანამედროვე რიდერები, რომლებსაც სტუდენტები სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენებდნენ. ყველა რიდერი არის შექმნილი დაწესებულების აკადემიური პერსონალის მიერ.
რაც შეეხება ბენჩმარკინგს, პროგრამის შემუშავების დროს დაწესებულება გაეცნო როგორც ამერიკულ, ასევე ევროპულ პროგრამებს. შესაბამისად, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, რისი გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო დაწესებულებამ მაქსიმალურად ჩართო პროგრამაში და მოახდინა ამ კუთხით ადაპტირება. ამ პროცესში ძირითადად მაგალითად აღებული იქნა ჩარლის უნივერსიტეტის პროგრამიდან.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ყველა სასწავლო კურსში ინტეგრირებულია პრაქტიკის კომპონენტი და, ასევე, პრაქტიკა ისწავლება ცალკე სასწავლო კურსის ფარგლებშიც. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ სტუდენტს საშუალება აქვს სწავლის პროცესშივე გაიუმჯობესოს ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების საკითხი და, შესაბამისად, შეუძლია მალევე გაიაროს სტაჟირება უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციებში საზაფხულო სემესტრის დროს, ასევე შესაძლებელია დასაქმდეს კიდეც, რისი პრეცენდენტიც პროგრამის ფარგლებში უკვე არსებობს. პროგრამა ამ ეტაპზე აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, თუმცა სანამ სტუდენტი არ მოვა შეუძლებელია დადგინდეს თუ რომელი კურსი არის უკეთესი ან საჭიროა თუ არა კურსების დაჯგუფება ბლოკების მიხედვით.

რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, დაწესებულებას აქვს პერსონალის შერჩევის წესის დოკუმენტი, რომელის მიხედვითაც ხდება აკადემიური პერსონალის შერჩევა, რომელიც რა თქმა უნდა, თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შერჩევა ხდება როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული ნიშნით. მიუხედავად იმისა, რომ პერსონალი მაგისტრის ხარისხით არის წარმოდგენილი, ისინი არჩეულნი არიან იმის მიხედვით, რომ აქვთ საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილება. აქვე მნიშვნელოვანია საბაკალავრო ნაშრომის თემის ხელმძღვანელის შერჩევის საკითხი, კერძოდ, სტუდენტებს აქვთ საშუალება ჰყავდეთ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელები, რომელთა კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამისობაშია მათ ფუნქცია-მოვალეობებთან და აქვთ აკადემიური ნაშრომების ხელმძღვანელობის გამოცდილება. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ისარგებლონ რეგულარული და დამატებითი კონსულტაციებით ხელმძღვანელ(ებ)თან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:05 სთ.
დასრულების დრო: 16:52 სთ.

რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით საბჭომ გადაწყვიტა სხდომის განახლება და განხილვაზე კვლავ ჩაერთნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განმახორციელებელ პერსონალს შორის საკმაოდ ბევრია მაგისტრის ხარისხის მქონე პირი, შესაბამისად, მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის დაზუსტებისკენ.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტებს საკითხთან დაკავშირებით ხანგრძლივი მსჯელობა ჰქონდათ, თუმცა თავად დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვინაიდან აქცენტი ძირითადად პრაქტიკაზეა ორიენტირებული, მათ მიიჩნიეს, რომ დასაშვებია მაგისტრის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის არსებობა. პროგრამის ფარგლებში მაგისტრის ხარისხის მქონე პირები არჩეულნი

არიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში შეუსაბამობას აქვს ადგილი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ სტანდარტში არც რეკომენდაცია და არც რჩევა ექსპერტების მიერ არ არის განსაზღვრული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:00 სთ.
დასრულების დრო: 17:36 სთ.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადებისა და შეფასების პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართვის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადაიდო და აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მერვე პუნქტის საფუძველზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს პროგრამის შეფასებაში ჩართულიყო დარგის დამოუკიდებელი ექსპერტი/ექსპერტები, საბჭოს სხდომის ზეპირ მოსმენაზე სათათბირო ხმის უფლებით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგროტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	29.01.2021 გადაწყვეტილება № 43852
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	აგროტექნოლოგიის მაგისტრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0811 - მემცენარეობა და მეცხოველეობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 122 უნივერსიტეტის II კორპუსი. საქართველო 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.
ექსპერტმა გიორგი ჯაფოშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამისთვის შესასრულებლად განსაზღვრული იყო ცხრა რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულების მიერ სრულიად იქნა გათვალისწინებული და შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართ ადაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ როგორც ექსპერტმა აღნიშნა ყველა რეკომენდაცია სრულად იქნა შესრულებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:48 სთ.
დასრულებისდრო: 17:51 სთ.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აგროტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	25.03.2021 გადაწყვეტილება № 285934
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო ფიზიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე–არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მერაბ კოსტავას გამზირი N77
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა - ეკატერინე შაკიაშვილმა.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უცხო ენებთან მიმართებაში მოვიდეს შესაბამისობაში სილაბუსებში მითითებული ლიტერატურების ენებთან;
2. გაძლიერდეს სასწავლო პროგრამა თეორიული და პრაქტიკული საკითხებით ვაკუუმური ტექნიკის შესახებ;
3. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება სრულად მოვიდეს შესაბამისობაში უნივერსიტეტში მოქმედ კვლევითი კომპონენტის შეფასების მარეგულირებელ დოკუმენტთან.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია. დაშვების წინაპირობებში გათვალისწინებულია უცხო ენის ცოდნა, გაძლიერებულია ვაკუუმური ტექნიკის პრაქტიკული საკითხები (ორ საგანში), სამაგისტრო ნაშრომის შეფასება შესაბამისობაში მოყვანილი მარეგულებელ დოკუმენტთან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბჭოს რეკომენდაციები შესრულებულია. დაშვების წინაპირობებში გათვალისწინებულია უცხო ენის ცოდნა, გაძლიერებულია ვაკუუმური ტექნიკის პრაქტიკული საკითხები (ორ საგანში), სამაგისტრო ნაშრომის შეფასება შესაბამისობაში მოყვანილი მარეგულებელ დოკუმენტთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:55 სთ.
დასრულების დრო: 17:57 სთ.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კერძო (ბიზნეს) სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა - ირინა ლობჟანიძემ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლამ, აღნიშნულ სტუდენტთან დაკავშირებით განახორციელა აბსოლუტურად ყველა მოქმედება, რაც გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტის რეგულაციებით. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისა და შეფასების საკითხებს, სადაც განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ყველა ეტაპი. სტუდენტმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დადგენილ ვადაში (სწავლის დაწყებიდან ორი

კვირის ვადაში) შეატყობინა სამაგისტრო ნაშრომის თემის სათაურისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შესახებ. სკოლის ადმინისტრაციისთვის მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის ჩაბარების დროს გახდა ცნობილი სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ, რადგან, მანამდე, სტუდენტს დაწესებულების წარმომადგენლებთან არ ჰქონია კონტაქტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. პრობლემის გამოკვეთის დღიდანვე, საკითხის უკეთ გასარკვევად, სამართლის სკოლის ადმინისტრაციამ მიმართა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს და დაადგინა, რომ სტუდენტი მას მხოლოდ სემესტრის დასაწყისში (2021 წლის 12-25 მარტის პერიოდში) ეკონტაქტებოდა, რა დროსაც მასთან თემის სათაურზეც კი ვერ მოხერხდა შეთანხმება. ამის შემდეგ, მთელი სემესტრის განმავლობაში განმცხადებელი თემის ხელმძღვანელს საერთოდ არ ეკონტაქტებოდა, რაც სრული საფუძველი იყო თემის ხელმძღვანელის მხრიდან დასკვნის გაცემაზე უარის თქმისა. მიუხედავად ამ გარემოებისა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა სემესტრის ბოლოს, სტუდენტის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, გასცა დასკვნა ნაშრომთან დაკავშირებით. საბოლოოდ, სამაგისტრო ნაშრომი და ნაშრომის საჯარო დაცვა შეფასდა დამოუკიდებელი სამკაციანი კომისიის მიერ, რომელსაც არანაირი კომუნიკაცია არ ჰქონია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან. აქედან გამომდინარე, დაწესებულება მიიჩნევს, რომ სტუდენტი შეფასდა სამართლის სკოლაში არსებული წესების შესაბამისად და აკადემიური თავისუფლების, გამჭირვალობისა და სამართლიანობის პრინციპების სრული დაცვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა დააზუსტა, თუ რამდენი სტუდენტი სწავლობს მოცემულ პროგრამაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თითოეულ მიღებაზე დაწესებულება იღებს 50 სტუდენტს, შესაბამისად, ჯამში პროგრამაზე 100 სტუდენტი სწავლობს.

საბჭოს წევრმა, ასევე, დააზუსტა, თუ რა კომპონენტი შეაფასა კომისიამ.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კომისიის მიერ შეფასდა სამაგისტრო ნაშრომი და ნაშრომის საჯარო დაცვა. სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომი და მისი საჯარო დაცვის ჩანაწერი შეფასდა დარგის სპეციალისტის მიერ და შეფასება დარჩა უცვლელი.
საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ დაცვამდე ნაშრომი გადის რეცენზიისა და დასკვნის ეტაპებს და დააზუსტა, თუ როგორი იყო ნაშრომის შეფასება დაცვამდე.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის რეგულაციის მიხედვით, არ ხდება ცალკე რეცენზირება, იწერება ხელმძღვანელის დასკვნა და ხდება პლაგიატზე შემოწმება. გამომდინარე იქედან, რომ არ ხდება რეცენზირება, გათვალისწინებულია კომისიური (სამი კაცის მიერ) შეფასება. სტუდენტს ინფორმაცია ჰქონდა ხელმძღვანელის დასკვნის შესახებ, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ სტუდენტს შეეძლებოდა ნაშრომის დაცვაზე გატანა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:20 სთ.
დასრულების დრო: 18:24 სთ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კერძო (ბიზნეს) სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კერძო (ბიზნეს) სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე წარმოდგენილი საჩივრის განხილვაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:25 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით